ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 550

"22" ნოემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში მდებარე №110 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.110) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. №35-ის მიმდებარედ №2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში მდებარე №110 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.110) და ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქ. №35-ის მიმდებარედ №2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ოქტომბრის №24.1688.1916 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3/ვ. ნინუას ქ. №3-ში, „ა" ბლოკის მე-11 სართულზე მდებარე 76.60 კვ.მ. ფართობის №110 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.414.01.01.110) და ქ. თბილისში, წულუკიძის ქ. №35-ის მიმდებარედ, I ბლოკის მე-2 სართულზე მდებარე 65.40 კვ.მ. ფართობის №2 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.264.01.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით ია ჯამბურიასთვის (პ/ნ. 01017004114) საკუთრებაში გადაცემაზე, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი)

ლარად, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე